ანზორ ვაკუხალია

„ზოგჯერ თქმა სჯობს ირითქმისა“

შეცდომა თუ დანაშაული?!
ნაწილი VIII

თბილისი
2015

ISBN 978-9941-0-0352-3 (ყველა ნაწილის)
ISBN 978-9941-0-7664-0 (მერვე ნაწილის)

ავტორისაგან

„შეცდომა თუ დანაშაული?!”-ს მეხუთე კრებულის რეცენზია, პროფესორმა რევაზ ბალანჩივაძემ ასე დაასრულა: „ბატონო ანზორ! დაე ეს წიგნი იქცეს თქვენი გულისტკივილის გამოხატვის ბოლო წიგნად”. მისდამი ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, სამწუხაროდ წერტილი ვერ დავსვი, რადგან ჯერ-ჯერობით საქმე ისე არ მიდის, როგორც ვოცნებობდით. ამიტომ „გამოვაცხვე” მეექვსე და მეშვიდე კრებულები. ახლა კი, თქვენს ხელთაა მერვე წიგნი. ალბათ, ამის შემდეგ მაინც შევუსრულებ თხოვნას პროფ. რ. ბალანჩივაძეს.

თქვენს ხელთ არსებული კრებულის საავტორო გვერდში, საჭიროდ ჩავთვალე გაგაცნოთ საკმაოდ ვრცელი ამონარიდი ჩემი წიგნიდან: „კვლავაც ვწეროთ და ჩვენვე ვიკითხოთ” (2004 წელი). აი ისიც:

„როგორც ეკონომისტს და სახელმწიფო მოხელეს, ჩემი პოზიციები მიტინგებზე და მსგავს თავყრილობებზე არასოდეს გამომითქვამს. ასეთ ღონისძიებებზე პროფესიონალი სპეციალისტის გამოსვლებს არ ვამართლებდი, რადგან ის მასის თვალში იაფფასიანი ავტორიტეტის მოპოვების იოლ გზად მიმაჩნდა. ასეთ შემთხვევებში წარმატებას მხოლოდ მაშინ მოიპოვებ, თუ შენს გამოსვლაში ჭარბობს პოპულიზმი, ანუ მუშაობ მასის რეაქციის ეფექტზე. ამის საწინააღმდეგოდ, პრობლემატურ საკითხებზე ჩემს პოზიციებს არცთუ ისე იშვიათად ვაფიქსირებდი მხოლოდ პრესაში, ან ოფიციალურ დოკუმენტებში, მით უმეტეს, რომ საკუთარი აზრის გამოთქმის ამ ფორმების გამოყენება ჩემი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო პრობლემას არ წარმოადგენდა.

ხშირად ასეთ გამოსვლებს საკმაოდ მძაფრი რეაქცია მოჰყვებოდა ხოლმე. ზოგი მხარს მიჭერდა, ზოგი კი რას არ მწამებდა, „ნეოკომუნისტობიდან” დაწყებული, „საბაზრო ეკონომიკის მტრობით” დამთავრებული. აქედან გამოდინარე, რამდენჯერმე

გავიფიქრე კიდეც, რა ძალა მადგას, რას გადავიკიდე ამდენი ხალხი-მეთქი. მიუხედავად ამისა, ჩემი პრინციპების წინააღმდეგ სვლას ან გაყუჩების პოლიტიკის თამაშს ვერ ვახერხებდი. მჯეროდა და მჯერა, რომ მაინც ისა სჯობს, როცა სათქმელს დროულად იტყვი. როცა ვთვლიდი, რომ მართალს ვამბობდი, იმაზე ნაკლებად ვფიქრობდი, ვის ეწყინებოდა და ვის მოეწონებოდა.“

ამ პუბლიცისტური წერილების VIII ნაწილი, რომელსაც „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა“ დავარქვი, მის წინამორბედებთან შედარებით, იმით განსხვავდება, რომ აქ მასალები მოტანილია მათი გამოქვეყნების თარიღების და არა თემატური ნიშნის მიხედვით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება უკვე დაწყებულია, დაინტერესებულთა შესახსენებლად, საჭიროდ ჩავთვალე ზოგიერთი ამონარიდის მოტანა „შეცდომა თუ დანაშაულის?!“ მე-7 ნაწილიდან.

აქვე გაეცნობით ინფორმაციას, ჩემს ბოლო „ნაღვაწთან“ დაკავშირებით, „დიახ, საქართველო არის ესე“! იმის გათვალისწინებით, რომ მან დიდი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია, მკითხველთა ინფორმირების მიზნით, ამჯერად, გასაცნობად გთავაზობთ მხოლოდ წიგნის წინათქმას, ბოლოთქმასა და იმ პირთა და ორგანიზაცია-დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ჩვენს იდეას და ოფიციალურად გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო დონეზე იწოდებოდეს მხოლოდ „საქართველოდ“! პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს წიგნი მივუძღვენი ჩვენს მომავალ თაობას, ასეთი მინაწერით: **„ჩვენ, მეოცესაუკუნელებმა, ამ დიდი ეროვნული იდეის განხორციელება თუ ვერ მოვასწარით, ჯერი თქვენზეა. თქვენმა თაობამ არ დაივიწყოთ სამი წმინდა ხატება: „საქართველო“, „ქართველი“ და „ქართული“.**

რამდენიმე ამონარიდი „შეცდომა თუ დანაშაული?!“-ის VII ნაწილიდან

* * *

„პოლიტიკოსები ძირითადად უპროფესიო ან ხელმოცარული ადამიანები ბრძანდებიან. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც... პოლიტიკოსები, ქვეშეცნეულად საშუალო ან უფრო დაბალი გონებრივი შესაძლებლობების ადამიანები არიან (თუმცა ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებიან!), სამაგიეროდ, მათ ხელშია ძალაუფლება, რითაც საკუთარი ნაკლის გადაფარვას, უფრო ხშირად კი ამ ნაკლის ღირსებად წარმოჩენას ცდილობენ – მოჩვენებითი სიდარბაისლით, აგრესიულობით, შეუფერებელი ლაყბობით, ან სულაც „ბრძნული მდუმარებით“. გულახდილად უნდა ვაღიარო, აღარც მახსოვს მერამდენედ მომყავს ჩემს პუბლიკაციებში ჟურნალისტ თეიმურაზ ქორიძის ეს ციტატა, რადგან იგი ძალზე ლაკონიურად და ზუსტად გამოხატავს ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისა და მათი ლიდერების, ანუ ვითომ პოლიტიკოსების „ანატომიას“, რომელთაც თავიანთი არსებობით, ქვეყნისათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვთ.“

* * *

„2008 წლის 20 თებერვალს, ანუ წინა საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე სტატია: „პრეტენდენტებს – მხოლოდ თანაბარი პირობები“, რომელშიც თეთრზე შავით ვწერდი: „საპარლამენტო არჩევნები კარს მოგვადგა, მიგვაჩნია, რომ, სამწუხაროდ, არც ამჟამად ვართ მზად არჩევნების ნორმალურ დონეზე ჩასატარებლად. მომავალში, ანალოგიური სიტუაციებიდან თავის დაღწევის მიზნით, თავს უფლებას ვაძლევ და განსასჯელად გთავაზობთ ერთ წინადადებას, რომლის რეალიზაცია არავითარ პრობლემასთან არ არის დაკავშირებული. ძალიან მოკლედ ამ წინადადების არსი იმა-

ში მდგომარეობს, რომ <u>წინასაარჩევნო პერიოდში, ნებისმიერ სუბიექტს (ფიზიკურ პირს, პოლიტიკურ ორგანიზაციას) უნდა ჰქონდეს სააგიტაციო საშუალებებისა და სახელისუფლებო რესურსების გამოყენების თანაბარი პირობები.</u> ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ სუბიექტს მათი ფინანსური, მატერიალური და სხვა რესურსების მიუხედავად, აეკრძალებათ ამ მიზნით, თუნდაც ერთი ლარის დახარჯვა. მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის უმკაცრესი კონტროლის პირობებში უნდა მოხდეს ნებისმიერი სახელისუფლებო რესურსებისა და ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების პროპორციული პრინციპით განაწილება და ხარჯვა". დარწმუნებული გახლავართ, თითქმის ხუთი წლის წინათ გამოთქმულ ამ მოსაზრებაზე სათანადო რეაგირება რომ მოეხდინათ ჩვენს ე. წ. პოლიტიკოსებს, დღეს სულ სხვა სიტუაციასთან გვექნებოდა საქმე."

* * *

პრობლემა, რომლის თაობაზეც ქვემოთ უნდა მოგახსენოთ, არახალია და რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამ მიმართებით, დიდად სამწუხაროდ, მდგომარეობა დღითი დღე უარესდება და „ჩვენი, ენა ქართული" კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

საგაზეთო წერილის ფორმატიდან გამომდინარე, ამჟამად ამ მიმართებით, დეტალებზე თქვენს ყურადღებას ვერ შევაჩერებთ და ამიტომ გაგაცნობთ მრავალთაგან მხოლოდ ჩვენი რამდენიმე სტატიის სათაურს და კონკრეტულ წინადადებას: „გადავარჩინოთ ქართული ენა" („საერთო გაზეთი", 08.04.09), „ვაითუ ჩვენი ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდეს" („საქართველოს რესპუბლიკა", 14.01.10), „დადასტურებული უტყუარი ფაქტები საბრალდებო დასკვნისათვის" („საერთო გაზეთი", 11-17 იანვარი, 2012 წ.), „როდის მოეღება ბოლო თქვენს ყელყელაობას და ბრახაბრუხს?!" („საქართველოს რესპუბლიკა", 12.12.12). ჩამოთვლილი წერილების კონკრეტული ადრესატები იყვნენ საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, პარლამენტარები გოკა გაბაშვილი და ხათუნა ოჩიაური, თბილისის მერიის ხელმძღვანელობა და სხვა ჩინოვნიკები, რომელთაც, რომ იტყვიან, თითი-თითზე არ დააკარეს,

ყურადღება არ მიაქციეს ამ წერილებით პირადად მათი მისამართით წაყენებულ კონკრეტულ ბრალდებებს და ჩაიდინეს დანაშაულებრივი უმოქმედობანი საქართველოს კანონების მოთხოვნების უგულებელყოფის თვალსაზრისით.

* * *

(ა. ბაბუხადიას ესაუბრება ჟურნალისტი ოთარ ხუციშვილი)

კარგა ხნის შესვენების შემდეგ, გადავწყვიტე კვლავ გავსაუბრებოდი ცნობილ ეკონომისტსა და პუბლიცისტს ანზორ ბაბუხადიას, რომელთანაც 30-წლიანი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. იგი ბევრი სხვა მოღვაწისაგან იმით გამოირჩევა, რომ თავად ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდშიც კი ახერხებდა ყოფილიყო პრინციპული, მწვავე სიმართლე მიუკიბ-მოუკიბავად, რომ იტყვიან, „პირში ეთქვა“ თავისი კოლეგებისათვის, ანუ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლებისათვის. ახლაც მახსოვს, ქვეყნის მაშინდელ პრეზიდენტს, მთავრობის სხდომაზე კადრების შერჩევის საქმეში დაშვებული შეცდომების შესახებ რომ უსაყვედურა და ნათქვამში ეჭვი რომ არავის შეპარვოდა, წინ კონკრეტული ფაქტებიც დაუდო. სწორედ მისმა ასეთმა პირდაპირობამ და ობიექტურობამ გადამაწყვეტინა ბატონ ანზორისთვის ქვეყნის ცხოვრების აქტუალობიდან გამომდინარე რამდენიმე შეკითხვით მიმემართა.

– ბატონო ანზორ, რა დასამალია, ახალი ხელისუფლება, რომელიც ხმაურიანი და ამბიციური დაპირებებით მოვიდა ქვეყნის სათავეში, თანდათან სულ უფრო მეტ კრიტიკას იმსახურებს. სამწუხაროდ, საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში, კვლავ გაჩნდა ნიჰილისტური დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ დღევანდელი ხელისუფლება არ ან ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ამათგან ყველაზე აქტუალურია დაპირებული სამართლიანობის აღდგენის გაწელვა, ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში ჩადენილი დანაშაულობებისთვის სააკაშვილის ხელისუფლების ლიდერების დაუსჯელობა. ამის გამო საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილი უკმაყოფილებას ვეღარც კი მალავს: რას ელოლიავებიან

ამ ნაძირალებს, 5-6 თავგასული „ფიგურისთვის“ მაშინვე ამოერტყათ პანჩური, შეეყარათ სადაც ჯერ არს და დანარჩენებიც ისწავლიდნენ ჭკუასო. დავიწყოთ ამ თემით და დანარჩენს „საქმე გვიჩვენებს“

– გეტყვით პირდაპირ, კადრების შერჩევაში, უცოდველი, სხვებთან ერთად, არც ეს ახალი ხელისუფლება აღმოჩნდა. დეტალებზე საუბრის დრო და ადგილი, ალბათ, არ გვექნება, რადგან ისეთი ფართომასშტაბიანი შეკითხვა დასვით, რომ არც ვიცი რითი დავიწყო.

* * *

2011 წლის 4 ივნისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, გამოვაქვეყნე ვრცელი ინტერვიუ სათაურით –„...ან აღვიგვებით მიწისაგან პირისა როგორც ერი!“, რომელშიც საუბარი იყო პარლამენტში მოსახვედრად პარტიულ სიებში გამსვლელი ადგილის მოპოვებისთვის ქრთამის გადახდის დამკვიდრებულ წესზე; ე. წ. გრანტიჭამია პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც ხშირად გამოყოფილ თანხებს იყენებენ ქვეყნის დასაქცევად შემუშავებული პროგრამების განხორციელებისათვის და წურბელებივით სწოვენ სისხლს ქვეყნის გასაცოდავებულ ბიუჯეტს; „ახალგაზრდა ნაციონალების“, „ახალგაზრდა ქრისტიან – დემოკრატების“, „ახალგაზრდა ეროვნული დემოკრატების“ და სხვა „ინსტიტუტების“ საქმიანობაზე; კონსტიტუციასა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე იმ ვარაუდით, რომ მომავალში საერთოდ უარი ვთქვათ ე.წ. პროპორციული არჩევნების მოქმედ სისტემაზე და ა.შ.

* * *

მივესალმები, თუ საქართველოს პარლამენტი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად დააყენებს საკითხს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ნებისმიერი საქმიანობის დაფინანსების აკრძალვის თაობაზე, რასაც, დარწმუნებული ვარ, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიამოვნებით დაუჭერს მხარს.

დადასტურებული, უტყუარი ფაქტები საბრალდებო დასკვნისთვის

ვესაუბრებით ცნობილ პუბლიცისტს, საქართველოს დამსახურებულ ეკონომისტს, გაზეთ „თანადგომა“-ს რედაქტორ-გამომცემელს, იაკობ გოგებაშვილის მედლის მფლობელს ანზორ ბაბუხადიას. იგი ავტორია ქართული ენის გადარჩენისადმი მიძღვნილი გახმაურებული სტატიებისა: „ოღონდ ქართულად ვილაპარაკოთ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 28.09.07), „ენა გადავარჩინოთ, ქართული ენა“ („საერთო გაზეთი“, 08.04.09), „ვაითუ, ჩვენი ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდეს...“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 14.01.2010), „ენა გადავარჩინოთ ქართველებო!“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 19.10.10), „ქართული ენის გადარჩენა ხელისუფლების სერიოზული საფიქრალი უნდა იყოს“! (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 14.04.11) და სხვ.

— ბატონო ანზორ, პირდაპირ თუ ვიტყვით, თქვენს სტატიებში ფარდა აქვს ახდილი ხელისუფლების ყველა შტოს უმოქმედობას, დაწყებული პარლამენტიდან, დამთავრებული აღმასრულებელი ხელისუფლების ყველაზე დაბალი რანგის ჩინოვნიკამდე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ადგილი აქვს მათ დანაშაულებრივ წაყრუებას და პრობლემის ფეხზე დაკიდების უტყუარ ფაქტებს.

— დიახ, დავიწყებ იმით, რომ აღნიშნული პუბლიკაციები, როგორც იტყვიან, ზღვაში წვეთია იმ წერილებთან შედარებით, რომლებსაც სისტემატიურად და მაღალ პროფესიულ დონეზე აქვეყნებენ ქართული ენის თვალსაჩინო, თავგადაკლული სპეციალისტები. ვინმე რომ არ გამოგვრჩეს, შეგნებულად არავის გვარს არ ვასახელებ. ახლა კი გადავალ მთავარ სათქმელზე. პრაქტიკულად, ჩემი სათქმელი თქვენ უკვე ბრძანეთ, მაგრამ შევეცდები თქვენი პოპულარული გაზეთის მკითხველი უფრო დეტალურად ჩავაყენოთ საქმის კურსში. აღნიშნულ სტატიებში და ჩემს ნაშრომთა ციკლის „შეცდომა თუ დანაშაული?!“-ის მე-5 ნაწილში, პრაქტიკულად, ქართული ენის გადარჩენის ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე და მათი გადაწყვეტის კონკრეტულ გზებზეა საუბარი, მაგრამ ამდენი ხნის განმავლობაში, ხელისუფლების მხრიდან, არავითარი რეალური ნაბიჯი არ გადადგმულა საქმის სასიკეთოდ.

— როგორც თქვენი პუბლიკაციებიდან ჩანს, 2010 წლის 16 ოქტომბერს, ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბეთ „დედა ენის საზოგადოების“ კომისიის წევრები და ერთხმად მიიღეთ „დედაენის დაცვის მანიფესტი“, სადაც წერია:

„გლობალიზაციის ხანაში ქართული ენა დადგა დამახინჯების, გადაგვარების, დაკნინებისა და განადგურების საფრთხის წინაშე. იგი წალეკა ბარბარიზმებმა, კალკამ, მიბაძვამ და ასევე სინტაქსურმა სიმახინჯეებმაც. ენა ერის ბურჯია და შველას საჭიროებს.

დადგა დრო, რომ ამოქმედდეს ზეპარტიული, პოლიტიკურად მიუკერძოებელი, ზოგად ეროვნული დაწესებულება, რომელიც იზრუნებს ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად, მის გადასარჩენად და გასაძლიერებლად.

მან უნდა მოიზიდოს ქართული ენის სპეციალისტები (ენათმეცნიერები, ფილოლოგები), რომლებიც შეიმუშავებენ ქართული ენის გადარჩენისა და შემდგომი განვითარების კონცეფციას; შექმნიან და მუშაობაში ხელს შეუწყობენ სხვადასხვა მიმართულებით სათანადო ლექსიკისა თუ ტერმინოლოგიის დარგობრივ კვლევით ცენტრებს, გააღრმავებენ ქართული ენისა და სწორი მეტყველების საჯარო პროპაგანდას ტელევიზიის, რადიოსა თუ პრესის მეშვეობით, სათანადო დარგობრივი ლექსიკონების, სახელმძღვანელოების, სამახსოვრო ბუკლეტებისა და სხვა თვალსაჩინო მასალის გამოქვეყნება – გავრცელების გზით.

მან ხელი უნდა შეუწყოს საგანგებოდ დაფინანსებული პროგრამების ხორცშესხმას ქართული ენის მასწავლებლების მომზადება – გადამზადების მიზნით.

სასწრაფოდ შეიქმნას ხანგრძლივვადიანი კომპლექსური გეგმა სახელმწიფო დონეზე, რათა დროულად გამოვფხიზლდეთ და დავიცვათ ქართული, როგორც ენა.

გადავარჩინოთ ენა და ენა გადაგვარჩენს ჩვენ“.

– კი ბატონო, მანიფესტი მივიღეთ, მაგრამ რად გინდა, „კრება დარჩა მხიარული“. უფრო მეტსაც გეტყვით. ჩემს გარდა, „დედაენის კომისიის“ წევრები ბრძანდებიან ისეთი ცნობილი პიროვნებები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც არიან (ჩამოვთვლი ტიტულების გარეშე, რისთვისაც მათ ბოდიშს ვუხდი) ბატონები: ზაზა გაჩეჩილაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, რისმარგ გორდეზიანი, ვახტანგ როდონაია, გია ნიჟარაძე, მანანა დუმბაძე, ლევან ჩიქვანაია, თამაზ ებანოიძე, ლევან ღვინჯილია, მანანა გიგინეიშვილი და სხვ. დარწმუნებული ვიყავი, რომ კომისიის ასეთი პერსონალური შემადგენლობა „მთას ძვრას უზამდა“, მაგრამ მოვტყუვდი. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ შევკრებილ-

ვართ, არ გვიმსჯელია, ჩვენი წინადადებები და პროგრამები არ შეგვიჯერებია...

— რატომ?

— იმიტომ, რომ კომისიის ცალკეული წევრები დაკავებული არიან პირადი პრობლემებით და ამ „უბრალო“ საქმისათვის ვერ მოიცალეს. დიახ, ვერ მოიცალეს! ამ ხნის განმავლობაში, ზოგიერთი, უმაღლესი დონის სახელმწიფო ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებით ან თბილი კაბინეტის შენარჩუნებაზე ზრუნვით იყო დაკავებული; ზოგიერთი, ხელისუფლებას თვალში არ ეჩხირება თავიანთი შვილებისათვის მყუდრო გარემოს შენარჩუნების მიზეზით; ზოგი სერიოზული საქმეებით დაკავებულობის გამო ვერ იცლის ამ „უმადური“ საქმისათვის; ზოგი კი, ჩემი არ იყოს, ხლაფორთობს და იქნევს დაჩლუნგებულ და ყავლგასულ ხმალს და ა.შ. შედეგს კი ყველა ვხედავთ.

2011 წლის 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით ღია წერილი გავუგზავნე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატ. დავით ბაქრაძეს, რომელშიც ამ პრობლემის მთელ ისტორიას მოვუყარე თავი. ჩამოვაყალიბე კონკრეტული წინადადებები, რომლებიც ითხოვენ ოპერატიულ გადაწყვეტას და ა.შ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ფუჭი გამოდგა ჩვენი მცდელობა.

— რაიმე სახის რეაგირება მოჰყვა ამ ღია წერილს?

— საქმეც ეს არის. არავითარი რეაგირება, არავითარი დაინტერესება, არავითარი უხერხულობის გრძნობა. უფრო მეტიც, ჩემი წერილი პარლამენტის თავმჯდომარემ ყოველგვარი კონკრეტული დავალების გარეშე გადაუმისამართა პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეს გოკა გაბაშვილს. ამ უკანასკნელმა ეს წერილი ასევე არაფრისმთქმელი რეზოლუციით დააწერა თავის მოადგილეს ქალბატონ ხა-

თუნა ოჩიაურს. დიდი მცდელობის შედეგად, როგორც იქნა ოფიციალურ მიღებაზე ვეახლე მას და კარგა ხანს ვისაუბრეთ აღნიშნული პრობლემის თაობაზე. ძალიან მოკლედ რომ ვთქვა, ხათუნა ოჩიაური დამპირდა, რომ გარკვეულ ღონისძიებებს გაატარებდა და შედეგს მაცნობებდა. დაპირება არარეალური რომ იყო, თავიდანვე ვიგრძენი, რადგან ყოველმხრივ მიმტკიცებდა, ქვეყანას და პარლამენტს უფრო სერიოზული პრობლემები აქვს გადასაწყვეტი და ამისათვის, ალბათ, ვერ მოვიცლითო. ისე აგიხდათ ყოველივე კარგი. არც მოიცალეს და დღემდე არც არანაირი პასუხი არ გამოუგზავნიათ. ამ ფაქტთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარეს შეხსენების წერილიც გავუგზავნე, რომელიც ასე დავამთავრე: ***„ბატონო დავით, რა ხდება? გაებუტეთ ქართულ ენას თუ უბრალოდ ვერ იცლით მისთვის?!“*** თითქმის წელიწადი გავიდა და არც ამ წერილზე გამოუგზავნიათ პასუხი.

— ვერ მოვისვენებ, ვიდრე არ გკითხავთ. მაინც რას ითხოვდით ასეთ უსაშველოს?

— დროულად შევატყვე, რომ ჩვენი ხელისუფლება დედაენის გადარჩენის ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს არ მიხედავდა და ამიტომ იძულებული გავხდი, ბოლოს და ბოლოს ჩვენი მოთხოვნა მინიმუმამდე შემემცირებინა და მხოლოდ ასეთი ფორმით ჩამომეყალიბებინა:

„პრობლემა კომპლექსურია და ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით ყველაფერი არ მოგვარდება. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ პრობლემის მკვდარი წერტილიდან დაძვრის პირველი ეტაპის კონკრეტულ წინადადებას: საქართველოს პარლამენტმა მიიღოს კანონი ან სათანადო ჩასწორება კანონში „რეკლამის შესახებ“, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად, გარკვევით ჩაიწერება, რომ ვაჭრობისა და მომსახურების ნებისმიერ ობიექტს, აგრეთვე წარმოება — დაწესებულებებს, სა-

კუთრების ფორმების მიუხედავად, სარეკლამო აბრები, წარწერები, სახელწოდებები და მათი დანიშნულების გამომხატველი ნებისმიერი მინიშნება, როგორც წესი, გაუკეთდეს ქართულ ენაზე და მხოლოდ ამის შემდეგ, შედარებით მცირე ზომებით, რომელიმე უცხო ენაზე.

სასურველია, პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების, აგრეთვე დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებმა შესაბამის სტრუქტურებთან ერთად მოამზადონ სათანადო კანონპროექტი და არსებული რეგლამენტის შესაბამისად, მისცენ მას მსვლელობა“.

— თქვენი მოთხოვნა რეაგირების გარეშე რომ დატოვეს, ღღევანდელი ხელისუფლების გადამკიდე, გასაკვირი არ არის, მაგრამ გვეჩვენება, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება, მით უმეტეს, რომ ხელისუფლება, ხშირად არღვევს კანონს. ამას სხვა თუ არაფერი, განუკითხაობა ქვია. ამ შემთხვევაშიც ანალოგიურ დამოკიდებულებასთან ხომ არ გვაქს საქმე? თუ იზიარებთ ჩვენს პოზიციას, მაშინ იქნება კონკრეტული ბრალდებაც ჩამოაყალიბოთ.

— საყოველთაოდ მიღებული წესია, რომ კანონს, ბრძანებას, განკარგულებას ვინც გამოსცემს, ჯეროვანი კონტროლიც მან უნდა დააწესოს მის შესრულებაზე. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, არასათანადო ყურადღების გამო, პრაქტიკულად, არ სრულდება. თავს უფლებას ვაძლევ და შეგახსენებთ ამ კანონის ზოგიერთ პუნქტს, რომელთა შესრულებაზე სათანადო კონტროლის არარსებობის გამო, რთულად გამოსასწორებელი პრობლემები შეექმნა მშობლიურ ენას. აი, ზოგიერთი მათგანიც:

„რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე“ (მუხლი 4. პ.2)

„უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში)... არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას“ (მუხლი 4, პ. 3);

„ორენოვანი მანათობელი წარწერების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა „ქართულიც და უცხოურიც“ იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი „(მუხლი 4, პ. 4);

დამეთანხმებით, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პუნქტი საქართველოში ძალიან ხშირად უხეშადაა დარღვეული;

კანონის მე-4 თავი (პუნქტი 17), რომელიც ეძღვნება სახელმწიფო კონტროლს რეკლამის სფეროში, ნათლადაა ჩაწერილი, რომ: „ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ახორციელებს... რეკლამის კანონმდებლობის შესრულების სახელმწიფო კონტროლს; იღებს გადაწყვეტილებას არასათანადო რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შესრულებასა და კონტრრეკლამის განხორციელებაზე; უფლება აქვს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევს, კანონით დადგენილი წესით დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი; უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე; რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ეკონომიკური აგენტების მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნებით“.

უფრო მეტიც, განხილული კანონის მე-6 მუხლით, რომელიც გარე რეკლამის რეგულირებას ეხება, მკაფიოდაა ჩაწერილი, რომ „ამ მოთხოვნის შესრულებაზე პასუხისმგებელნი

არიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები“. არ მესმის, რა უნდა ჩაეწერა კანონპროექტის ავტორს კიდევ, რომ ზემოაღნიშნული კანონის ეს პუნქტები მკვდრადშობილი არ ყოფილიყო?!

პრობლემისადმი კანონის ამგვარი დამოკიდებულების პირობებში, სერიოზული მცდელობის მიუხედავად, ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის არც ერთი ორგანოს წლიურ ანგარიშში არ აღმოჩნდა არც ერთი ფაქტი, რომ სათანადოდ აკონტროლებენ და იცავენ ზემოაღნიშნული კანონის ძირითად მოთხოვნებს!

— ჩემი აზრით, იურიდიული შეფასება უნდა მიეცეს ამ წერილში ჩამოთვლილი საქართველოს კანონის დამრღვევთა მოქმედებებს და უნდა დადგეს მათი პასუხისმგებლობის საკითხი.

— ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირთათვის დამატებითი, კონკრეტული ფაქტების მიწოდებაზე ვალდებულებას ჩვენს თავზე ვიღებთ, განაცხადა ანზორ ბაბუხადიამ.

ესაუბრა
ანა ვადაჭკორია

„საერთო გაზეთი“. 11-17 იანვარი, 2012 წ.

ჭკუის დარიგებას, რა თქმა უნდა, არ გაკადრებთ...

ღია წერილი ბატონებს თამაზ წივწივაძეს და რევაზ მიშველაძეს

ჩემო თამაზ, ჩემო რეზო,

ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის ჩვენი მეგობრული ურთიერთობა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ურთიერთმიმართვის სხვა ფორმა არ გამოგვიყენებია და დარწმუნებული ვარ, ასევე გაგრძელდება ჩვენი სიცოცხლის ბოლომდე. ამას გვავალდებულებს ჩვენი ერთად გატარებული ბავშვობა; ურთიერთსიყვარულით განვლილი ახალგაზრდობის წლები; აბსოლუტურად სხვადასხვა სფეროებში მოღვაწეობის მიუხედავად, თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა; თქვენს დედმამიშვილებთან ჩემი განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება და მრავალი სხვა. ეს ზოგადად. ახლა კი შეგახსენებთ ჩვენი ურთიერთდამოკიდებულების რამდენიმე ეპიზოდს, რომლებმაც გადამაწყვეტინეს და დამავალდებულეს ამ წერილის დაწერა.

თქვენთან მეგობრულმა ურთიერთობებმა, გამაბედვინა ჩემი პირველი კრიტიკული წერილების გამოქვეყნება „ლიტერატურულ საქართველოში“, რომლებმაც ფარდა ახადეს ხელისუფლებაში „მოღვაწე“ ცალკეულ პირთა გაუამრთლებელ, ქვეყნის საზიანოდ გადადგმულ ნაბიჯებს. სხვა გაზეთები მაშინ ასეთ წერილებს უბრალოდ არ აქვეყნებდნენ;

რა დამავიწყებს იმ პერიოდს, როცა ორივე თქვენგანი (ძალიან ხშირად მეც თქვენ გვერდით ვიყავი), რომ იტყვიან, ხელებდაკაპიწებულები დადიოდით ერთი ინსტანციიდან მეორეში და სულის ამოთქმის საშუალებას არ აძლევდით ცალკეულ მეწარმეებს, ყვე-

ლაზე მაღალი რანგის ჩინოვნიკებს და სხვ., რათა ბოლომდე მიგეყვანათ თქვენი დიდებული ჩანაფიქრი თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე დიდი გალაკტიონის საცხოვრებელი ბინის ბაზაზე, მისი სახლ-მუზეუმის შექმნისთვის. დარწმუნებული ვარ, ორივე თქვენგანის დიდი ძალისხმევის გარეშე ამ მძიმე წლებში ასეთ დიდ მამულიშვილურ საქმეს, ალბათ ვერავინ მოაბამდა თავს;

ჩვენი ძმობის დასტურია აგრეთვე, თქვენ მიერ ჩემი მისამართით გამოთქმული მოგონებები და საუკეთესო სურვილები, რომლებიც სიამოვნებით და სიამაყის განცდით შევიტანე ჩემი საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის ჟურნალ „რაინდის“ საგანგებო გამოშვებაში (2013 წ. ივნისი);

ორივე თქვენგანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ერთმანეთს პირველობას არასდროს არ ექიშპებოდით, რადგან თავადაც კარგად მოგეხსენებოდათ, რომ თქვენ-თქვენ საქმეში, რასაც მთელი ცხოვრება მიუძღვენით, ისედაც გამორჩეულები იყავით;

ჩემო რეზო, შეუფასებელია შენ მიერ დახარჯული ენერგია, დრო, სულიერი ემოციები და ხალხისთვის მიყენებული სიამოვნება, რაც შენ ჩააქსოვე ჩოხოსან რაინდთა დასის მიერ ჩატარებულ მრავალ ათეულ ღონისძიებაში. განსაკუთრებით, იმ ბედნიერი მოსწავლეების სახეები მახსენდება, როცა შენ, როგორც ჟიურის თავმჯდომარე, პირადად გადასცემდი შენი ავტოგრაფებით დამშვენებულ საკუთარ წიგნებს, ჩოხოსან რაინდთა დასის მიერ ორგანიზებულ, მოსწავლეთა ოლიმპიადებში გამარჯვებულ ახალგაზრდებს. არ დამავიწყდება აგრეთვე, შენი ემოციური გამოსვლები ჩვენ მიერ მოწყობილ ღონისძიებებზე მარაბდის, კრწანისისა და წიწამურის მემორიალებთან, მთაწმინდისა და დიღუბის პანთეონებში და სხვა;

ჩემო თამაზ, ჩემო რეზო, კიდევ ბევრი რამ მაქვს გასახსენებელი, ამჯერად ვიკმარებ და გადავალ მთავარ სათქმელზე. სიმართლე გითხრათ, ზუსტად არ ვიცი და არც არავის ვკითხავ, რა მოხდა თქვენს შორის ასეთი, რატომ გადაეკიდეთ ასე მწარედ ერთ-

მანეთს ერთი მიწა-წყლისა და ერთი თაობის ორი მეგობარი? რატომ აძლევთ საბაბს და უფლებას თქვენს ე.წ. მხარდამჭერებსა და ვითომგულშემატკივრებს, ყველაზე უხეში ფორმებით დაგაპირისპირონ ერთმანეთს? რატომ არ უსპობთ „სულიერ საზრდოს“ ამდენ არამკითხე მოამბეს, რომ ერთმანეთს შეეჯიბრონ თქვენი მისამართით გამოთქმული ათასი ბინძური ჭორის გავრცელება-ტირაჟირებაში?

ჭკუის დარიგებას, რა თქმა უნდა, არ გაკადრებთ, მაგრამ როგორც თქვენთვის ახლო ადამიანი ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ უახლოეს პერიოდში კვლავ გიხილავთ ხელიხელჩაკიდებულებს, მრავალი ეროვნული საქმის მოგვარების ავანგარდში. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ქვეყანას გლობალიზაციის მარწუხებიდან მხოლოდ ერის ღირსეულ შვილთა თანადგომა გადაარჩენს.

აბა თქვენ იცით! ღმერთმა დაგლოცოთ!

სიყვარულით და პატივისცემით,

თქვენი **ანზორ ბაბუხადია**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 21.09.2013

იქნებ ახლა მაინც გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები!

გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი ანზორ ბაბუხადია

— ღმერთის წყალობით, პრეზიდენტის არჩევნები მშვიდობიანად ჩატარდა. კი იყო გარკვეული ხარვეზები, მაგრამ ეს, დამეთანხმებით, საბოლოო შედეგებს მნიშვნელოვნად არ შეცვლიდა...

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, სააგიტაციო საშუალებათა გამოყენების თვალსაზრისით, სხვადასხვა ფინანსური რესურსების გამო, პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი აშკარად არათანაბარ პირობებში აღმოჩნდა. მეთანხმებით?

— ასეთ შემთხვევაში პასუხი ამგვარი უნდა იყოს — შენი ფული და ქონება ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს და, სადაც გინდა და როგორც გინდა, ისე დახარჯე, ოღონდ ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტობა და დეპუტატობა ფულზე ან „ფოჩიან კანფეტზე“ აღარ უნდა გაიყიდოს. გახდი, ბატონო პრეზიდენტი, გინდ დეპუტატი და მერე, როგორც გინდა, ისე დახარჯე შენი ქონება. მაშინ უფრო კარგად გამოჩნდება, შენ ქველმოქმედი ხარ თუ ფულიანი მოძალადე.

— არჩევნებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ რამდენად დააზარალა ქვეყანა? ნაცებს თუ დავუჯერებთ, მათ ხელში საქართველო

აყვავდა. როგორც ეკონომისტმა, ამ კითხვაზე პასუხი იქნებ ციფრებითა და ფაქტებით ჩამოაყალიბოთ.

— „დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ 2012 წლის მონაცემებით, საქართველო მსოფლიოს 144 ქვეყანას შორის 131-ე „საამაყო“ ადგილზე აღმოჩნდა კერძო საკუთრების დაცვის რეიტინგით; 141-ზე — ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობით; 128-ზე — სოფლის მეურნეობაზე დახარჯული საბიუჯეტო თანხის მოცულობით; 131-ზე — ადგილობრივი პროდუქციის წარმოების მოცულობით; 126-ზე — ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით; 101-ზე — პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობით; 95-ზე — სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობით; 114-ზე განათლების სისტემის ხარისხით; 115-ზე — სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეფექტიანობით; 95-ზე — საბანკო კრედიტების ხელმისაწვდომობით და ა.შ. ასეთ პირობებში, მიღწეული შედეგებით ბრახაბრუხის უფლება ვინმეს აქვს?

— ჩვენი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას, როგორც წესი, ჭეშმარიტებად მხოლოდ საკუთარი აზრი ეჩვენება. ამიტომ იშვიათად გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც მთელი სიგრძე-სიგანით აცნობიერებენ უკვდავ ფრთიან ფრაზად ქცეულ სოკრატეს ნათქვამს — „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“.

— ასეთ გენიოსობას ბევრს ვერც მოვთხოვთ, მაგრამ საზოგადოებამ ის მაინც უნდა შეძლოს, რომ ერთმანეთისგან გაარჩიოს თეთრი და შავი, მაღალი და დაბალი, ჭკვიანი და უჭკუო, ერის შვილი და ძაღლის შვილი და ა.შ.

— მოდით, და ისევ 27 ოქტომბრის არჩევნებს დავუბრუნდეთ. ელოდით თუ არა ასეთ შედეგებს? რატომ იყო ამომრჩევლების აქ-

ტიურობა ასეთი დაბალი? ენდობით თუ არა ე.წ. ეგზიტპოლებისა და საზოგადოებრივი აზრის წინასწარი გამოკითხვების ინსტიტუტების ფუნქციონირებას?

— ბატონი გიორგი მარგველაშვილი, სულ მცირე, მეორე ტურში უეჭველად რომ გავიდოდა, ამაში ეჭვი არავის არ ეპარებოდა, რადგან ამ შემთხვევაშიც ისევ ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფენომენმა მოახდინა გადამწყვეტი გავლენა, ასეთ პირობებში, ბუნებრივია, დაისვა კითხვა, — წავიდე თუ არა არჩევნებზე? პასუხი ნათელი და ერთმნიშვნელოვანია — თუ ქვეყნის მომავალზე გული შეგტკივა, ვისაც უფლება აქვს, არჩევნებში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ამ აქსიომის უგულებელყოფა დანაშაულის ტოლფასია!

რაც შეეხება მეორე ადგილზე ნაცების კანდიდატის გასვლას, ეს ყველა საღად მოაზროვნე პიროვნებისთვის მოულოდნელი იყო. არა მაქვს არავითარი საფუძველი, ეჭვი შევიტანო არჩევნების შედეგებით მანიპულირებაში, თუმცა, წინასაარჩევნო გარემოებამ და, არცთუ უმნიშვნელო დარღვევებმა დიდწილად განსაზღვრა საბოლოო შედეგები. გადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე, არც ერთი ნაცმოძრაობის მხარდამჭერი, მათი ოჯახის წევრები და გულშემატკივრები არჩევნების დღეს სახლში არ დარჩენილან.

მათგან განსხვავებით, უმოტივაციოდ დარჩენილმა ამომრჩეველმა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თავი არ შეიწუხა არჩევნებზე მოსვლით, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა საბოლოოდ დაფიქსირებული შედეგები. ვფიქრობ, ამომრჩეველთა 70 პროცენტს მაინც რომ მიეღო მონაწილეობა ამ უმნიშვნელოვანეს სამოქალაქო აქტში, მაშინ, სულ მცირე, მეორე ადგილზე ნაცების წარმომად-

გენლის მაგიერ, სხვა, უფრო ღირსეულ კანდიდატს ვიხილავდით და არჩევნების მეორე ტური გარდუვალი იქნებოდა. ბრძნულმა გამოთქმამ „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“, კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი.

რაც შეეხება თქვენი შეკითხვის ბოლო ნაწილს, მიგვაჩნია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა პოლიტიკურ პარტიათა ან ცალკეული პიროვნებების რეიტინგის „დადგენის“ მიზნით, ყოვლად გაუმართლებელია, რადგან ის, როგორც წესი, ტარდება რომელიღაც დაინტერესებული მხარის ძალისხმევით და მიმართულია ამომრჩეველთა დეზორიენტაციისკენ. არცთუ იშვიათად, ის საარჩევნო უბნებისა და მათი ზემდგომი დაწესებულებებისათვის გარკვეულ ორიენტირადაც აღიქმება.

– დასასრულ, რას უსურვებდით ქვეყნის ახალ პრეზიდენტს?

– უწინარესად, ვულოცავ გამარჯვებას და მიხედოს ქვეყნის დემოგრაფიისა და ქართული ენის გადარჩენის პრობლემებს. თუ მასთან პირადი შეხვედრის საშუალება მომეცა, ამ პრობლემების მოგვარების კონკრეტულ წინადადებებს დეტალურად მოვახსენებ.

ესაუბრა **რუსლან რუსია**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 5.11.2013

საკვანძო არა მალავს!..

არ არის მრავალთაბახიანი და სქელყდიანი ანზორ ბაბუხადიას ახალი წიგნი "მასალები საბრალდებო დასკვნისათვის", მაგრამ ცნობილ ეკონომისტსა და პუბლიცისტს, უამრავ საქვეყნო საქმეზე დაფიქრებულ მამულიშვილს, მაინც ჩაუტევია თავისი ძირითადი სათქმელი მომცრო კრებულში და, ის კი არა, ჩვენ მეგობრებმაც რომ არ ვიცოდით, ისეთ უცნობ ფაქტებსაც კი გვიმხელს აქ ჩვენი ანზორი.

მაგალითად, თავისი გვარის წარმომავლობას, სტუდენტობისა და ახალგაზრდული წლების ბევრ საყურადღებო მომენტს... ხოლო შემდეგ მკითხველს სთავაზობს თეზისების, ამონარიდების, რამდენიმე მასალის სრულ ვერსიას, რაც, ცხადია, გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით ავტორის პოზიციაზე, ქვეყნის მრავალი სატკივარის თაობაზე. ეს ყოველივე არაერთხელ უთქვამს ანზორს თავის ათეულობით პუბლიკაციასა და ოფიციალურ დოკუმენტში. აქ არის მსჯელობა პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, ჩვენი მშობლიური ენის მოვლა-პატრონობის საკითხებზე, რაც დიდი გულწრფელობითა და თემის სიღრმისეული ცოდნით არის გადმოცემული.

ამდენად, ანზორ ბაბუხადიას ახალი წიგნი, სწორედაც რომ წასაკითხია!

ვილენ მარდალეიშვილი

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 9.01.2014

„ვერ შეძლი იმის მტკიცება და კეთება, რაც თავად არ მწამდა“

ეს სიტყვები ამოღებულია ახლახან დასტამბული წიგნიდან „მასალები საბრალდებო დასკვნისთვის“, რომლის ავტორი ეკონომისტი და პუბლიცისტი ანზორ ბაბუხადია გახლავთ. მაინც რისი მტკიცება და კეთება ვერ შეძლო მაღალი პროფესიონალიზმითა და ერუდიციით დაჯილდოებულმა სპეციალისტმა, რომელმაც განვლო გზა რიგითი ეკონომისტიდან საქართველოს მთავრობის მთავარ სახელმწიფო მრჩევლამდე, არ გაინტერესებთ? გადაშალეთ ეს ნაშრომი, რომ აღარაფერი ვთქვათ ავტორის მიერ მანამდე გამოცემულ წიგნებზე და ამ კითხვაზე პასუხს უმალ ამოიკითხავთ.

ვინც ანზორ ბაბუხადიას იცნობს, ვისაც პირადად მოუსმენია ქვეყნის ეკონომიკის მართვასა და განვითარების საკითხებზე მისი დასაბუთებული და გაანალიზებული მსჯელობა, გაუძნელდება წარმოიდგინოს, რომ მას ვინმესთვის რაიმეს დამტკიცება გაუჭირდება. ჩვენდა საოცრად, აი ჩვენს ხელისუფებას კი (ადრინდელსაც და გვიანდელსაც) რატომღაც გაუჭირდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ყოველთვის ეფუძნებოდა და ახლაც ეფუძნება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (სსფ, მსოფლიო ბანკი და სხვები) რჩევა-ინსტრუქციებს, სამშობლოს პატრიოტი ბაბუხადიასი კი – ტრადიციული დარგების განვითარებითა და ადგილობრივი რესურსების მაქსიმა-

ლურად გამოყენებით ქართული ეკონომიკის აღორძინების შესაძ-ლებლობებს.

ავტორი წიგნში იხსენებს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მისი დამოკიდებულების ნიშანდობლივ ეპიზოდს. **„ის მხარე,** — წერს ანზორ ბაბუხადია, — **ყველა საკითხს სუფთად საბაზრო პრინციპებით უდგებოდა და ქვეყნის წეს-ჩვეულებების, ქართველი კაცის ბუნების, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის თავისებურებების შე-სახებ არაფრის მოსმენა არ აინტერესებდა. უფრო მეტიც, იმასაც ვერ იგებდა, რომ, თუ გლეხისთვის საზამთრო ან მზესუმზირა უფ-რო მეტი მოგების მომტანი იქნებოდა, რატომ არ უნდა აეჩეხა ვე-ნახი და რატომ არ უნდა მოეყვანა მის ნაცვლად უფრო მეტი მო-გების მომტანი სხვა კულტურა. და როგორ გინდა გააგებინო უცხო კაცს, თუ რას ნიშნავს საქართველოსთვის, თუნდაც ნების-მიერი გლეხისთვის „შვილივით ნაზარდი ვაზის“ აჩეხვა“?**

ჰოდა, იყო უკომპრომისო აზრთა ჭიდილი და ჯახაჯუხი მინის-ტრთა კაბინეტისა თუ მთავრობის სხდომებზე, როცა ამა თუ იმ მწვავე საკითხზე ანზორ ბაბუხადიას უხდებოდა საკუთარი პოზი-ციის დაცვა, მით უმეტეს, თუ ის ხელმძღვანელის პოზიციას ეწი-ნააღმდეგებოდა, გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ჯერ ერთი, როგორც მთავრობის მთავარ სახელმწიფო მრჩეველს, გარკვეული ტაქტისა და ეთიკის ნორმების დაცვა ევალებოდა. მე-ორეც, საკითხი ისე დეტალურად და ზედმიწევნით მაღალპროფე-სიულად უნდა ყოფილიყო შესწავლილი და გაანალიზებული, რომ იქ დამსწრეთაგან მაღალი რანგის სპეციალისტის ნათქვამის ჭეშ-მარიტებაში ეჭვი არავის შეპარვოდა.

მე პირადად ეჭვი არ შემპარვია მისი პოზიციის უტყუარობასა და რეალურობაში და, ვფიქრობ, არც, ალბათ, იმათ, ვინც მთავ-

რობას ყასიდად ელაქუცებოდა და უცხოელ „კეთილის მსურველებს“ გუნდრუკს უკმევდა. ამის თაობაზე არაერთხელ მითქვამს და გამიხმაურებია ჩემს კრიტიკულ წერილებსა და სტატიებში, აგრეთვე, ბატონ ანზორთან გაკეთებულ ინტერვიუებში, რომლებიც წლების მანძილზე ქვეყნდებოდა „საქართველოს რესპუბლიკაში“ და რომლებიც მწვავედ სუსხავდნენ მთავრობის მიერ ეკონომიკაში გადადგმულ მცდარ და დანაშაულებრივ ნაბიჯებს. ამის დასტურად გამოდგება იმ სტატიებისა და ინტერვიუების სათაურებიც კი, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდებოდა პრესის ფურცლებზე და იკინძებოდა წიგნებად.

ახლა „ღია წერილებში“, რომლებითაც პირადად თუ პრესის საშუალებით, მოუსვენარი ანზორ ბაბუხადია მოსვენებას არ აძლევდა ქვეყნის პრეზიდენტსა თუ პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის სპიკერს, მინისტრებსა თუ მწერლებს. შედეგი იმისა, რომ ხელისუფლება არ უსმენდა ბაბუხადიასნაირ სპეციალისტებსა და პროფესიონალებს, ფრიად დამაჯერებელია. ამჟამად სახელმწიფო მართვის არც ერთ რგოლში ერთი საშტატო ერთეულიც კი აღარ არსებობს, რომელსაც ოფიციალურად ევალებოდეს მცირე და საშუალო მეწარმეობის პრობლემებზე ზრუნვა, მაშინ, როცა მსოფლიოში ვერ ვნახავთ ქვეყანას, სადაც ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სეგმენტის საქმიანობას არ ხელმძღვანელობდეს სპეციალური სამინისტრო, კომიტეტი ან დეპარტამენტი მაინც. 2006 წლიდან დღემდე მოსახლეობის მთავარი დამსაქმებელი მცირე მეწარმეობა აღარ ფინანსდება და სწორედ ამიტომ წალეკა უმუშევრობამ მთელი საქართველო. ნიშანდობლივია, რომ დღეს საქართველოში ყოველ ათას მოსახლეზე 7 მცირე საწარმო მოდის, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში – 40; მცირე საწარმოების მიერ გამოშვებული

პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიან პროდუქციაში საქართველოში 10 პროცენტს არ აღემატება, ევროკავშირის ქვეყნებში კი 55 პროცენტს აჭარბებს. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე განვითარებულ ქვეყნებში 13 ათასი დოლარია, ხოლო საქართველოში 200-300 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ქვეყანაში უმუშევრობა და სიღატაკე თვიდან თვემდე იზრდება, მატულობს ადრე მოქმედი და ამჟამად დახურული ობიექტების რაოდენობა, მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი დაუმუშავებელია, ხოლო სოფლები – დაცარიელებული.

აი, სადამდე შეუძლია მიიყვანოს უდიდესი ბუნებრივი რესურსებისა და შესაძლებლობების მქონე ქვეყანა, როცა მას არაკომპეტენტური, უნიათო და დანაშაულებრივად მტარვალი ხელისუფლება მართავს (ლაპარაკია ნაცების 9-წლიან მმართველობაზე და არა მარტო მასზე). როცა ისეთ მამულიშვილსა და თვალსაჩინო პროფესიონალს, როგორიც ანზორ ბაბუხადია გახლავთ, არ აძლევენ იმის მტკიცებისა და კეთების საშუალებას, რაც მას სჯერა და სწამს. ალბათ, ამან უბიძგა ავტორს თავისი ბოლო წიგნისთვის სრულიად მართებულად ეწოდებინა „მასალები საბრალდებო დასკვნისთვის“.

ოთარ ხუციშვილი
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 15.02.2014

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომაზე ვერნათქვამი სათქმელი

უდიდეს პატივად ვთვლი, 2014 წლის 17 იანვარს გამართულ ამ უმნიშვნელოვანეს თავყრილობაზე მოწვეული სტუმრის სტატუსით ჩემს მონაწილეობას, რომელსაც აკადემიის გადაჭედილ სხდომათა დარბაზში ესწრებოდნენ აკადემიის წევრები, საზოგადო მოღვაწეები, პარლამენტარები, საქართველოს საპარტიარქოს წმინდა სინოდის წარმომადგენლები. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრამ თამარ სანიკიძემ, ფინანსთა მინისტრამ ნოდარ ხადურმა და არაერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა.

აკადემიის სრული შემადგენლობის მიმართ ჩემი უღრმესი პატივისცემის მიუხედავად, ყოველგვარი შესავლის გარეშე, გულისტკივილით და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ საეტაპო კრებაზე სათანადოდ არ გაიჟღერა ყველა ჭეშმარიტი ქართველის საფიცარმა სამმა სიტყვამ — „მამული, ენა, სარწმუნოება“, ანუ არ შედგა ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებზე მსჯელობა. მე, როგორც ერთ რიგით ეკონომისტს, მსურდა ამ თემებთან დაკავშირებული ჩემი ხედვები შემეჯერებინა ქვეყნის უმაღლესი რანგის ხელისუფალთა, მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა პოზიცი-

ებთან, მაგრამ ვერ შევძელი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ უსერიოზულესმა თავყრილობამ ზემოთანხსენები სამი ცნებისთვის ვერ მოიცალა და მათ შესახებ სიტყვაც არ თქმულა.

როგორც მოწვეულ სტუმარს, აკადემიის პრეზიდენტი ოთარ კვესიტაძე, ალბათ, 2-3 წუთიანი განცხადების გაკეთებაზე უარს არ მეტყოდა, მაგრამ ეს არ მოვინდომე, იმიტომ რომ, ამ უმაღლესი შემადგენლობის თავყრილობამ მთელი დრო დაუთმო ცალკეულ მეცნიერთა ურთიერთდაპირისპირებას შედარებით მეორეხარისხოვან პრობლემებზე, რომელთა უმრავლესობამ თავიანთი პრობლემები ქვეყნის გადარჩენის თემაზე მაღლა დააყენეს.

მკითხველს, ალბათ, გაუჩნდება ლოგიკური კითხვა, ასეთ ვითარებაში მე, რიგით მოქალაქეს მაინც რა უნდა მეთქვა ისეთი, რაც ასეთი დონის შეკრების მონაწილეთათვის იქნებოდა საინტერესო? ბევრი არაფერი, მაგრამ რაც უნდა მეთქვა, ახლა მოგახსენებთ სქემატურად.

— ხელისუფლებამ, პრაქტიკულად, არაფერი არ გააკეთა ქართული სოფლის და განსაკუთრებით მთიანი რეგიონების გადარჩენის პრობლემების მოსაგვარებლად. ეტყობა, მათ გათავისებული არა აქვთ, რომ ქართული სოფლის გადარჩენა, მთელი ქვეყნის, ანუ „მამულის“ გადარჩენის უპირველესი წინაპირობაა და მასზეა დამოკიდებული ქვეყნის უსაფრთხოება, საზღვრის დაცვა, დემოგრაფიული პრობლემების მოგვარება, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ქართული ადათ-წესებისა და თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნება და სხვ.

— ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დანაშაულებრივი უმოქმედობის გამო კატასტროფულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ჩვენი დედა ენა. ამ ტენდენციების შენარჩუნების პირობებში, 21-ე საუკუნის ბოლოს, ქარ-

თული ენა დაკარგავს თავის უდიდეს მნიშვნელობას და გადაიქცევა მხოლოდ ქართველთა შორის საკომუნიკაციო საშუალებად, მეორეხარისხოვან ენად.

— ხელისუფლებამ უყურადღებოდ დატოვა ჩვენს მიერ გასულ წელს პრესაში გამოქვეყნებული საკმაოდ გახმაურებული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა უნდა ეწოდოს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ყველა ენაზე.

— ღმერთის წყალობით, ჩვენი სარწმუნოება საიმედო საჭეთმპყრობლის ხელშია და მას ხელს თუ არ შევუშლით, იქნებ მისი მოვლით მაინც შევინარჩუნოთ „მამული, ენა, სარწმუნოება“ და სანუკვარი სიტყვები — საქართველო, ქართველი და ქართული.

ანზორ ბაბუხადია,
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი

P.S. *ამ უმძიმეს ბრალდებებს ვინც არ ეთანხმება, ძირითადად ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები მყვანან მხედველობაში, მტყუან-მართლის გასარკვევად სათანადო დოკუმენტებითა და ფაქტებით შეიარაღებული, სიამოვნებით შევხვდები ნებისმიერ ფორმატში მათთვის სასურველ ადგილას და მათთვის მოსახერხებელ დროს.*

მართალია, აღნიშნული კრება ძირითადად ქართული მეცნიერების პრობლემებს უნდა მიძღვნოდა, მაგრამ „მამული, ენა, სარწმუნოება“ თუ არ შევინარჩუნეთ, არც ქართულ მეცნიერებას ეშველება რამე.

„საერთო გაზეთი“, 29.01.2014

აცნობიერებთ თუ არა, რომ თბილისის მერობა უზარმაზარი პასუხისმგებლობაა?

ღია წერილი თბილისის მერობის კანდიდატებს

მივესალმები თქვენს გამბედაობას, არჩევნებში ღირსეული გამარჯვების შედეგად დაიკავოთ თბილისის მერის ურთულესი, უკიდეგანო მასშტაბებისა და არაადამიანური დატვირთვის თანამდებობა. ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის, ქვეყანაში უფრო რთული და საპასუხისმგებლო სამსახური არ მეგულება. „ასეა ეს", და თუ გსურთ, თბილისის მერობის შემდეგ დატოვოთ დედაქალაქის ღირსეული მერის სახელი, მოგიწევთ თავის გადადება და უარის თქმა პირადი ადამიანური ცხოვრების მრავალ საკითხზე.

გულახდილად, მამა-შვილურად გეტყვით, რომ თითოეულ თქვენგანს, არასაკმარისი სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე, გათვითცნობიერებული არა გაქვთ და არც შეიძლება გქონდეთ, რა მძიმე უღლის დადგმას უპირებთ საკუთარ თავს. ყველა თქვენგანისადმი ჩემი გულწრფელი დამოკიდებულება და თბილისის მერიის სისტემასა და საქართველოს მთავრობაში ხანგრძლივი მოღვაწეობის გამოცდილება უფლებას მაძლევს, ვიფიქრო, რომ თქვენ, ამ ეტაპზე, ჩემი სიფრთხილე ზომაზე მეტად გაზვიადებულად მოგეჩვენებათ, მაგრამ, გავა დრო და ვისაც ამ ტვირთის ზიდვა მოგიწევთ, ბოლოს უეჭველად თავად დარწმუნდებით ამაში.

ეს შესავლის მაგიერ. ახლა კი, უშუალოდ სათქმელზე. გამოვყოფ მხოლოდ რამდენიმე პრობლემას, რომელთა გადაწყვეტის თაობაზე დადებული თქვენი პირობა, ამ საპასუხისმგებლო არჩევნებში გამარჯვების საწინდარი იქნება.

1. სრულიად საქართველოს და, რა თქმა უნდა, დედაქალქის უმნიშვნელოვანეს გადასაწყვეტ პრობლემად მიგვაჩნია წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მისასვლელი გზისა და მთელი მისი მიმდებარე ტერიტორიის გათავისუფლება ამ ადგილისთვის სრულიად შეუფერებელი საცხოვრებელი სახლების, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ათასი ჯურის სიმახინჯეებისგან. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ტერიტორიის უმაღლესი რანგის ბაღნარად გადაქცევა ყველა საღად მოაზროვნე ქართველის ოცნებაა.

2. თავისი მნიშვნელობით, მართლაც რომ უპირველესი პრობლემაა ქართული ენის გადარჩენისთვის ბრძოლა. საკითხი მრავალწახნაგოვანია, რომელსაც თბილისის მერია, რა თქმა უნდა, დამოუკიდებლად ვერ გასწვდება. თუმცა, საქართველოს „კანონი რეკლამის შესახებ“, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, მრავალ კონკრეტულ უფლება-მოვალეობას ანიჭებს, რომელიც თქვენი წინამორბედებისაგან, ანუ ქართული ენის მტრების მიერ, აუნაზღაურებელი, დანაშაულებრივი დამოკიდებულების გამო, თვითდინებაზეა მიშვებული. ასეთი მკაცრი და ამავე დროს ობიექტური შეფასების საფუძველს გვაძლევს, პირველ ყოვლისა, დედაქალაქში გარერეკლამის ყოვლად მოუთმენელი მდგომარეობა და თბილისის მერიის ხელმძღვანელობის მისამართით ჩვენი არაერთი ოფიციალური წერილისა და ათობით პუბლიკაციის მოთხოვნების იგნორირება. <u>**არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატს, სურვილის შემთხვევაში, ამ მასალებს და სხვა დეტალებს პირადად გაგაცნობთ.**</u>

3. თბილისის მერიის ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი უმოქმედობის გამო, დედაქალაქი გადაქცეულია ნაგვის უზარმაზარ

ბუნკერად. ვისაც ეს არ გჯერათ, გთავაზობთ ძალზედ მარტივ წინადადებას. თქვენთვის მოსახერხებელ დროს, თქვენს მიერ წინასწარ შერჩეულ ნებისმიერ უბანში, პირადად დაგარწმუნებთ ჩვენი ნათქვამის ობიექტურობაში. არ დაგზარდებით და თქვენი სურვილის შემთხვევაში, გაგაცნობთ აგრეთვე, მრავალი ცივილიზებული ქვეყნის გამოცდილებას ამ მიმართებით. დარწმუნებული გახლავართ თბილისშიც გაამართლებს სანიტარიული პოლიციის შექმნის იდეა. აღნიშნული პრობლემის ღირსეულად გადაწყვეტის მიზნით, აუცილებელია, დამტკიცდეს სპეციალურ ღონისძიებათა გეგმა, რომლის შესრულების მიმდინარეობას, პირად კონტროლზე აიყვანს უშუალოდ დედაქალაქის მერი!

4. თბილისის ქუჩებში, ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ადგილებში, საბავშვო ეტლებისა და ინვალიდთა შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია გატარდეს ოპერატიული ღონისძიებები. ამ მიზნით დედაქალაქის ყველა ქუჩის მიხედვით უნდა დამუშავდეს ჩასატარებელ სამუშაოთა კონკრეტული გეგმა. ამასთან, უმკაცრესი ადმინისტრაციული ღონისძიებები უნდა გატარდეს იმათ მიმართ, რომლებიც ავტომანქანების ჩახერგვით ზღუდავენ ზემოაღნიშნული კატეგორიის მოქალაქეთა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას.

5. ზოგიერთი თქვენგანი აჩქარდა და დედაქალაქი უკვე დაანაგვიანა წინასაარჩევნო სააგიტაციო საშუალებებით. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს შენობა-ნაგებობების ფასადების, კაპიტალური ღობეების, ელექტროგადამცემი ბოძების, ხეების და ა.შ. დამახინჯება. ამ თვალსაზრისით, ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, რეკორდსმენია ჩვენი სიწმინდის – შოთა რუსთაველის ძეგლისა და საქართველოს მენციერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობის მიმდებარე ტერიტორიები. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო თბილისის მერობის კანდიდატებო, რომ ასეთი ქცევა ძალზე უარყოფითად იმოქმედებს არჩევნებში თქვენი გამარჯვების შანსზე.

